



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ათეშგაპი

ათეშგაპი (სპარს. ათეშ – ცეცხლი და გაპ – ადგილი), ცეცხლთაყვანისმცემელთა (იხ. *მაზდეანობა*) ტაძარი, ცეცხლის საგმებელი (ძვ. ქართ. წყაროებით). განსაკუთრებით გავრცელებული იყო III-VII სს. ირანში. ძვ. ქართ. წყაროების მიხედვით, ა-ები საქართველოშიც აუგიათ (ნიქოზში, ლოპოტის ხევში, ნეკრესში, მცხეთაში და სხვ.). თბილისში შემორჩენილია შუა საუკუნეებში აგებული ა. (ცნობილია „ათეშგას“ სახელწოდებით).
